საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი №3

ქ. ზუგდიდი 28 დეკემბერი 2022 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას (შემდგომში - სამხარეო საკონსულტაციო საბჭო) სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის 44 წევრიდან (შემდგომში - საბჭოს წევრი) 24 საბჭოს წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

1. **გიორგი გუგუჩია** - სახელმწიფო რწმუნებული.
2. **გიგა გაბელაია** -აბაშის მუნიციპალიტეტის მერი.
3. **გელა ხოშტარია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
4. **დავით გუნია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
5. **ზეზვა მაკალათია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
6. **მამუკა წოწერია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი.
7. **გიგა ფარულავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
8. **თეიმურაზ ბასილაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
9. **კახაბერ ჩანგელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
10. **თორნიკე ჯანაშია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი.
11. **ლევან სურმავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
12. **კობა დარჯანია** - მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
13. **კაპიტონ ჟორჟოლიანი** - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი.
14. **ვახტანგ გადელია** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
15. **საბა ოდიშარია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
16. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.
17. **შოთა წურწუმია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
18. **გიორგი ხარჩილავა** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.
19. **კორნელი სალია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
20. **დავით ბუკია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი.
21. **ლევან ქავთარაძე** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

22. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
23. **ბექა ვაჭარაძე** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.
24. **ალექსანდრე ტყებუჩავა** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **ნუგზარ გაბელია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი (თანამომხსენებელი).
3. **ნინო ვიბლიანი** - სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე.
4. **ლუდუკი ხასია** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
5. **გიორგი ნადარაია** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.
6. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე.
7. **პაატა ლაგვილავა** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
8. **მაკა გერანტია** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას უძღვებოდა სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია (შემდგომში - სხდომის თავმჯდომარე), რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის მიზნით, მუნიციპალიტეტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან შესაბამისობაში დადასტურებული და საკრებულოს მოწონებული წინადადებების სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ განხილვისა და მოწონების თაობაზე.
2. სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში განხორციელებული პროექტები, მათი მიმდინარეობა, დასრულება და ანალიზი.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა და ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთხებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, 2022 წელს დასაფინანსებლად ადგილობრივი თვითმმართველობ(ებ)ის პროექტების შერჩევის მიზნით, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილ იქნა, მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან შესაბამისობაში დადასტურებული და მუნიციპალიტეტების საკრებულოების შესაბამისი სამართლებრივი აქტით მოწონებული წინადადებები.

მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებიდან და აბაშის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე, ნუგზარ გაბელიამ საბჭოს წევრებს წარუდგინა ადგილობრივი თვითმმართველობების პროექტების ინიცირების მიზნით ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

ასევე წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში განხორციელებული პროექტების, მათ მიმდინარეობის, დასრულებისა და ანალიზის თაობაზე (ანგარიში თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები/ანგარიში და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს თანდართული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული

პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობ(ებ)ის პროექტების შერჩევის მიზნით, მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტ(ებ)ის პრიორიტეტების დოკუმენტ(ებ)თან შესაბამისობაში დადასტურებული და საკრებულოების მოწონებული წინადადებები (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკის სახით).

2. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ მოწონებული წინადადებები განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
3. ცნობად ინეს მიღებული სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ქალაქ ფოთისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს - სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი თანხების ფარგლებში განხორციელებული პროექტების, მათი მიმდინარეობის, დასრულებისა და ანალიზის თაობაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /გ. გუგუჩია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/